



ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№ _____

12 02 2018 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანება № 6

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში კრედიტების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ო“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს კრედიტების აღიარების წესი დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს რექტორის 2017 წლის 16 ოქტომბრის №6 ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი“.
3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის დაევალოს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსებისა მართვის სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ქორეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი) + მეუღლე



კრედიტების აღიარების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (შემდეგში-უნივერსიტეტი) ჩარიცხული პირის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პირის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დაძლევის შედეგად მოპოვებული კრედიტების მიმღებ/მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის და კრედიტების აღიარების წესებს.

მუხლი 2. აღიარების კომისია

1. საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის დადგენის და კრედიტების აღიარების მიზნით, რექტორის ბრძანებით, უნივერსიტეტის სკოლაში იქმნება აღიარების კომისია/კომისიები (შემდეგში - აღიარების კომისია), რომელშიც უნდა შედიოდეს მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი/პირები, კომისიაში აუცილებლად უნდა შედიოდეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, ხოლო მისი მხრიდან მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში - უფროსის მოადგილე.

2. აღიარების კომისია საქმიანობს საქართველოს კანონმდებლობის და უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად.

მუხლი 3. კრედიტების აღიარების წესი

1. უნივერსიტეტში აღიარებას ექვემდებარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, აღიარებას ექვემდებარება, აგრეთვე, ისეთი სასწავლო კურსის დაძლევის შედეგად მოპოვებული კრედიტები, რომელიც გათვალისწინებული არ არის საგანმანათლებლო პროგრამით. წარმოდგენილ შემთხვევაში, მისი აღიარება შესაძლებელია ე.წ. თავისუფალი/არჩევითი სასწავლო კურსის სახით.

3. თავისუფალი/არჩევითი სასწავლო კურსების სტატუსით, შესაძლებელია, აღიარებული იქნეს ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტმა, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, შეისწავლა როგორც სავალდებულო სასწავლო კურსი.

4. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა მიმღები საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსს, კურსის დასახელების, სასწავლო კურსის მიზნების, შინაარსის და სწავლის შედეგების, კრედიტების რაოდენობის მიხედვით, ხორციელდება ასეთი კრედიტების ავტომატური აღიარება.

5. თუ სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსის კრედიტის მოცულობა აღემატება საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი ანალოგიური სასწავლო კურსის კრედიტის რაოდენობას, კრედიტის აღიარება ხორციელდება ქართული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი სასწავლო კურსისათვის დადგენილი კრედიტის მოცულობის შესაბამისად.

6. თუ სტუდენტის მიერ შესწავლილი სასწავლო კურსის კრედიტის მოცულობა ნაკლებია მიმღებ საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი შესაბამისი სასწავლო კურსის კრედიტზე, სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გათვალისწინებით, კრედიტის აღიარება ხდება იმ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული კრედიტის მოცულობით, რომელზეც განხორციელდა მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვა.

7. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად, შესაძლებელია, დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის შესაბამისობა იმ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსთან, რომელზეც განხორციელდა სტუდენტის ჩარიცხვა, მიუხედავად სასწავლო კურსების სახელწოდებებში განსხვავებისა. სტუდენტს კრედიტი უღიარდება სწავლის მიზნების და შედეგების საფუძველზე, სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის სილაბუსის შინაარსობრივი შესწავლის შედეგად. ამ მიზნით, უნივერსიტეტი უფლებამოსილია, გამოითხოვოს აღნიშნული დოკუმენტაცია შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

8. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის.

9. უცხოეთში სწავლის პერიოდში (სამეცნიერო ნაშრომის დასრულებამდე) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული კვლევითი კომპონენტის აღიარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ამ წესის შესაბამისად შექმნილი აღიარების კომისია. აღიარების მსურველი პირი ვალდებულია, კომისიას წარუდგინოს მის მიერ უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი კომპონენტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღიარების კომისია, წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ კვლევითი კომპონენტის ფარგლებში გაწეული შრომის, რომელიც გამოიხატება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათებში, საკრედიტო

სისტემაზე გადაყვანას და შესაბამის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენას.

10. თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი მიღებული შეფასება თავსებადია ქართულ უნივერსიტეტში მოქმედ შეფასების სისტემასთან, კომისია განათლების აღიარებასთან ერთად ცნობად იღებს სტუდენტის შეფასებებს და დასკვნაში, გარდა აღიარებული კრედიტისა, აღნიშნავს სტუდენტის შეფასებას. თუ მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს სტუდენტის მიერ გავლილი რამდენიმე სასწავლო კურსის მიმღები საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ერთი სასწავლო კურსის სახით აღიარებას, აღიარებული სასწავლო კურსის შეფასება გამოითვლება საშუალო არითმეტიკულის სახით და საჭიროების შემთხვევაში, მრგვალდება მათემატიკური წესით.

მუხლი 4. კომისიის დასკვნა

სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღარების თაობაზე მზადდება დასკვნა, რომელსაც ხელს აწერს აღიარების კომისიის თავმჯდომარე და ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, ხოლო მისი მხრიდან მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში - უფროსის მოადგილე. დასკვნაში აღინიშნება სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების და საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღებ საგანმანათლებლო პროგრამასთან, სასწავლო კურსების ჩამონათვალი, რომელთა აღიარება მოხდა მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის, შესაბამისი (აღიარებული) კრედიტების და მოპოვებული შეფასებების მითითებით. სასურველია, დასკვნა ასევე მოიცავდეს ინფორმაციას სტუდენტისათვის ინდივიდუალური გეგმის შეთავაზების შესახებ.